ხელშეკრულება --22---
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გურჯაანი -16-.-- ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. **გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანება** (მისამართი: ქ. გურჯაანი, ი. ნონეშვილის გამზ. №21. ს/კ 227770506) წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ჩიტაურის სახით (შემდგომში წოდებული „„შემსყიდველად“)

მეორეს მხრივ, **შპს ინტელექტი** (მისამართი: ქ. გურჯაანი, შ. რუსთაველის ქ. №13 ს/კ 227721917), (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“) მისი დირექტორის **ვინელი ქაჩლიშვილის** სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის მეთოდით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ “ (შემდგომში - „ხელშეკრულება “) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება “ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე “, „კვირა “, „თვე “ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი “ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი “ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი “ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. <u>50 ც.მოწმობის დამზადება, ინტერნეტით და ქსეროქსით მომსახურება.</u>

2.2. კლასიფიკატორის კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი მოწმობების დამზადება 22800000

2 3. ინტერნეტით და ქსეროქსით მომსახურება 72400000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 204,30 <u>(ორასოთხი ლარი და30 თეთრი)</u> ლარს;

4. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია გურჯაანის რ/ნი სოფ. კარდენახი.

4.2. შესრულებული სამუშაო უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, **2015 წლის 16 ნოემბრიდან 2015 წლის 10 დეკემბრამდე**

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით;

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით; ბ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის არმოჩენის შესახებ;

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) შეასრულოს სამუშაო თანმდევი მომსახურეობით სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

6. გარანტია

6.1. საგარანტიო ვადა უნდა მოქმედებდეს სამუშაოს შესრულებიდან **1 წლის მანძილზე.**

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში წარმოშობილი უზუსტობანი აღმოფხვრას უსასყიდლოდ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში; მიმწოდებელის მიერ შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამის ფინანსური დოკუმენტაციის წამოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 14 იანვრის №23 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

9,2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20 (ოცი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10. 1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-–ზე მეტი ოდენობით;
10.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5. ხელშეკრულების 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
10.6.. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღ ნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
11.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყო ვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრ ულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 30 დეკემბრამდე.**

შემსყიდველი:
გურჯაანის სამუსიკო სკოლების გერთიანება ქ.გურჯაანი. ნონეშვილის გამზ. N21. ს/კ 227770506. ხაზინის ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ანგარიში GE40LB0115123710003000
მიმწოდებელი:
შპს ინტელექტი (მისამართი: ქ. გურჯაანი, შ. რუსთაველის ქ. №13 ს/კ 227721917. ს.ს. საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22 ანგარიშის № GE51BG0000000121450100.

გურჯაანის სამუსიკო სკოლების გაერთიანება
დირექტორი
რუსუდანი ჩიტაური

შპს „ინტელექტი"
დირექტორი
ვ. ქაჩლიშვილი